



GEORGIAN

რა არის კორონავირუსი?

კორონავირუსი იმ ვირუსების ჯგუფია, რომლითაც შეიძლება დაავადდნენ ცხოველები ან ადამიანები. ადამიანებში, მწვავე კორონავირუსი იწვევს რესპირატორულ ინფექციას, დაწყებული ზოგადი გაციებით და დამთავრებული მწვავე დაავადებებით.

რა არის COVID-19?

COVID-19 არის ინფექციური დაავადება, რომელიც გამოიწვია ახლახანს აღმოჩენილმა კორონავირუსმა (CO - შემოკლებული „კორონა“, VI - შემოკლებული „ვირუსი“ და D - შემოკლებული „დაავადება“). ეს ახალი ვირუსი და დაავადება პირველად 2019 წლის დეკემბერში გამოვლინდა ჩინეთის ქალაქ უხანში.

რა სიმპტომები ახასიათებს კორონავირუსს?

სიმპტომებს შორის შეიძლება იყოს ტემპერატურის მატება, ხველა და სუნთქვის პრობლემები. უფრო მძიმე შემთხვევებში, ინფექციამ შეიძლება გამოიწვიოს პნევმონია ან სუნთქვის გაძნელება. დაავადება შეიძლება იყოს სასიკვდილო.

არსებობს თუ არა ვაქცინა, მედიკამენტი ან მკურნალობა COVID-19-ისთვის?











ამ დროისთვის, კორონავირუსის ვაქცინა ან ანტივირუსული მედიკამენტი COVID-19-ის პრევენციის ან მკურნალობისთვის არ არსებობს. თუმცა, მათ, ვისაც ვირუსი უკვე აქვთ და ჰოსპიტალიზაციას საჭიროებენ, სამედიცინო დაწესებულებებში სიმპტომების შემსუბუქებაში დაეხმარებიან. პაციენტების უმეტესობა გამოჯანმრთელდება განსაკუთრებული მკურნალობის გარეშე, მოვლის და ზრუნვის შედეგად. ვაქცინების შემუშავება მიმდინარეობს და ისინი კლინიკურ ცდებს გადის.

ვის შეიძლება განუვითარდეს მძიმე დაავადება?

ჯერ კიდევ ვსწავლობთ, თუ რა გავლენა აქვს COVID-2019-ს ადამიანებზე, დაავადება ძირითადად რთულდება ასაკოვან ადამიანებში და ადამიანებში, რომლებსაც ჯანმრთელობის სხვა პრობლემები გააჩნიათ (მაგალითად მაღალი წნევა, გულის დაავადება, ფილტვის დაავადება, სიმსივნე ან დიაბეტი).

როგორ დავიცვა თავი და მოვახდინო დაავადების გავრცელების პრევენცია?

რამდენიმე მარტივი პრევენციული ზომა დაგეხმარება შეამცირო ინფიცირების და COVID-19-ის გავრცელების რისკი:

- ხშირად დაიბანე ხელები სპირტის შემცველი ხსნარით ან საპნითა და წყლით, ამით შეიძლება გაანადგურო შენს ხელზე არსებული ვირუსები.  
- შეინარჩუნე უსაფრთხო დისტანცია, არანაკლებ 1 მეტრი შენსა და სხვა ადამიანებს შორის. ვირუსი ვრცელდება დაინფიცირებული ადამიანის რესპირაციულ წვეთებთან უშუალო კონტაქტის გზით, რომელიც წარმოიქმნება ხველის, დაცემინების ან სიცხის დროს.  
- არ მიიღო ხელები თვალებზე, ცხვირზე და პირზე, რადგან ხელით ეხები ბევრ ზედაპირს და ისინი ვირუსის გადამტანია. ინფიცირების შემთხვევაში, ხელების საშუალებით ვირუსი შეიძლება მოხვდეს შენს თვალებში, ცხვირში ან პირში. საიდანაც, ვირუსი შეიძლება შევიდეს შენს ორგანიზმში და გახდეს ავად.  
- დარწმუნდი, რომ შენ და შენს გარშემო მყოფი ადამიანები იცავთ რესპირატორულ ჰიგიენას. ეს ნიშნავს, რომ დახველების ან დაცემინებისას დაიფარო პირის ღრუ მოხრილი მკლავით ან ერთჯერადი ცხვირსახოცით. გამოყენებისთანავე გადააგდე ეს ცხვირსახოცი. რატომ? რესპირატორულ წვეთებს გადააქვს ვირუსი. რესპირატორული ჰიგიენის დაცვით შენ იცავ შენს გარშემო მყოფებს ისეთი ვირუსებისგან, როგორიც არის გაციება, გრიპი და COVID-19.  
- ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო მოერიდე ხელის ჩამორთმევას და ჩახუტებას. მაქსიმალურად ეცადე, დარჩე სახლში, დაიცავი ხელისუფლების მიერ მითითებული წესები. თუ გაქვს სიცხე, ხველა ან გიჭირს სუნთქვა, მიმართე ექიმს და შეუთანხმდი წინასწარ. ეს საშუალებას მისცემს შენს ექიმს სწრაფად გადაგამისამართოს შესაბამის ჯანდაცვის ობიექტში. ეს დაგიცავს და ხელს შეუწყობს ვირუსების და სხვა ინფექციების გავრცელების პრევენციას.  

All the measures included in the present leaflet follow what established by the world health organization (WHO)